სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-198

ქ. თბილისი

20.02.2015

ბაკალავრიატის სტუდენტთა სტიპენდიით დაფინანსების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის სამსახურებრივი ბარათის (რეგისტრ. №03-5709/15 20.02.2015 წ.) საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგების საფუძველზე, ამ ბრძანების დანართში მითითებული სტუდენტები დაფინანსდნენ 2015 წლის იანვრის და თებერვლის თვეების სტიპენდიით, თითოეული თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) ოდენობით;

2. სტიპენდიის ანაზღაურება მოხდეს უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ფარგლებში, ადმინისტრაციული ბიუჯეტიდან;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს (სოფიო გაჩეჩილაძე);

4. კანცელარიას დაევალოს ბრძანების ასლები, დანართის თანხლებით, მიაწოდოს აღრიცხვა-ანგარიშის და საფინანსო დეპარტამენტებს, ფაკულტეტებს/სკოლებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (უფროსის მოადგილეს - ირინა ბაზღაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

5. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს ეთხოვოს ბრძანების დანართში აღნიშნული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — დავით აფრასიძე